

## **ტესტის სახელწოდება:**

ტრიგლიცერიდების ანალიზი

## **ტესტის ალტერნატიული დასახელება:**

ხშირად შემოკლებით აღინიშნება, როგორც TG.

## **რას იკვლევს მოცემული ტესტი:**

ტესტი სისხლში ტრიგლიცერიდების რაოდენობას ადგენს. ტრიგლიცერიდები ლიპიდებს მიეკუთვნებიან და ორგანიზმისთვის ენერჯის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ. მეორე მხრივ, სისხლში ტრიგლიცერიდების სიჭარბე დაკავშირებულია ათეროსკლეროზისა და გულის დაავადებების განვითარების გაზრდილ რისკთან. ტრიგლიცერიდების რაოდენობის მატება ხშირად გამოწვეულია ისეთი მიზეზებით, როგორებიცაა - ფიზიკურად არასაკმარისი აქტივობა, ჭარბი წონა ან სიმსუქნე, დიაბეტი.

## **რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:**

ეს ანალიზი სისხლის ლიპიდური პროფილის ნაწილია და ინიშნება გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების რისკის შესაფასებლად.

ტრიგლიცერიდების დონის განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიაბეტის მქონე პაციენტებისთვის.

## **როგორ კეთდება ეს ტესტი:**

ანალიზისთვის საჭიროა სისხლის აღება. სისხლის აღება ხდება ვენიდან ან თითის წვერიდან.

## **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:**

ანალიზამდე რამდენიმე საათით ადრე საჭიროა საკვების მიღებისგან თავის შეკავება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა მედიკამენტმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე. შესაბამისად, აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად დეტალური ინსტრუქციების მიღება.

## **შედეგების ინტერპრეტაცია:**

ტრიგლიცერიდების მომატებული დონე გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების რისკს ზრდის. შედეგების სწორად ინტერპრეტირებისათვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სისხლის ლიპიდური პროფილის შემადგენელი სხვა ანალიზების პასუხებიც.